

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

თბილისი

2010 წლის 14 იანვარი

№ 3

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2
დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“
მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების
განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ**

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2009 წლის 5 ოქტომბრის №151 (ოქმი №131) გადაწყვეტილების, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2009 წლის 5 ოქტომბრის №64 ბრძანებით დამტკიცებული “სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის შესაბამისად,

გბრძანებ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ წარმოდგენილი საჩივრების განხილვის მიზნით შეიქმნას კომისია 5 კაცის შემადგენლობით.
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი თანამდებობის პირების მიხედვით:
 - გენერალური დირექტორის მოადგილე პროდიუსინგის დარგში – კომისიის თავმჯდომარე;
 - გენერალური დირექტორის მოადგილე ინფორმაციის დარგში – კომისიის წევრი;
 - გენერალური დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციის დარგში – კომისიის წევრი;
 - ტელევიზიის პროგრამების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
 - იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე და მაუწყებლის შენობაში განცხადებებისთვის სპეციალურად განკუთვნილ დაფაზე.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გენერალური დირექტორი

გ. ჭანტურია